



## სამართლიანი არჩევნები

### სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ეხმაურება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას

არჩევნების დღეს, 2010 წლის 30 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების გადაცემის შესახებ ცესკოსა და საარჩევნო ოლქებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, სპეციალურ საარჩევნო უბნებში და სხვა საარჩევნო უბნებში მიმდგრებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ამოღების ნაწილში. ამასთან დაკავშირებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც გადაეგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელთა ინფორმაციით ორგანიზებულად ვერ მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილებისა და ინსტრუქციის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემა, შედეგად ყველა საოლქო საარჩევნო კომისია და საუბნო საარჩევნო კომისია დროულად არ იყო ინფორმირებული ამასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დროულად ვერ მოხდა მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების საარჩევნო უბნებიდან დაბრუნება, რამაც საარჩევნო უბნებზე წარმოქმნა გაუგებრობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ რიგ საარჩევნო უბნებზე, სადაც კომისიის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულები, შესაძლოა ასეთმა ამომრჩევლებმა მიიღეს მაჟორიტარულის სისტემით არჩევნებში მონაწილეობა, ეს კი თავისთავად იმოქმედებს საუბნო საარჩევნო კომისიებში ხმების დათვლის პროცედურებზე, კერძოდ მაჟორიტარულის სისტემის შედეგებზე.

ამასთანავე, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ზღუდავს იმ ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლებას, რომლებიც მართალია განეკუთვნებიან სპეციალურ სიაში შეყვანილ ამომრჩევლებს (შინაგან საქმეთა სამინისტრო), მაგრამ ეს სპეციალური უბანი განთავსებულია იმავე ოლქში, რომელთაც ეს ამომრჩევლები მიეკუთვნებიან მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)